



## ჯილდო - ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის

ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში, მსოფლიოს მასშტაბით, როგორც ბიზნესში ისე სახლში საქმიანობის გზით. თუმცა, ქალებზე არაპროპორციულ გავლენას ახდენს სიღარიბე და დისკრიმინაცია. ხშირ შემთხვევაში ქალების სამუშაო არ არის აღიარებული. ქალთა პროფესიულ განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაში ინვესტირება ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და განსაზღვრავს ეკონომიკის და წარმატებული და მდგრადი კომპანიების ზრდას.

2016 წელს, გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელშეწყობისა და ყველა სექტორში ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობის წახალისების მიზნით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველომ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით წამოიწყო ყოველწლიური კონკურსი - ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის.

გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს გლობალური შეთანხმების შვიდი პრინციპიდან, ფონდმა შეარჩია მეოთხე პრინციპი - ქალთა განათლება, სწავლება და კარიერული განვითარება, რადგან ის ყველაზე ახლოსაა ფონდის საქმიანობასთან და კომპაქტის მიზნებთან. სწორედ ამ პრინციპის დაცვა და მისი დანერგვის ინოვაციური მიდგომების შემუშავება და გავრცობა დაედო საფუძვლად კონკურსს. ბოლო ოთხი წლის მანძილზე კონკურსში 150-ზე მეტ კომპანიას აქვს მონაწილეობა მიღებული. ფონდი ყოველწლიურად სამ გამარჯვებულ კომპანიას გამოავლენდა.

დაჯილდოების ცერემონია ყოველ წელს მარტში - ქალთა საერთაშორისო თვის საპატივსაცემოდ ტარდებოდა და ხდებოდა იმ ბიზნესების აღიარება, რომლებმაც წარმოაჩინეს პერსპექტიული პრაქტიკა ქალთა გაძლიერების და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით, კარიერული წინსვლისა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნის მეშვეობით. კომპანიების ზომისა და სექტორების გათვალისწინებით, გამარჯვებულ კომპანიებს შორის იყვნენ ბანკები, უნივერსიტეტები, სადაზღვევო და სატელეკომუნიკაციო კომპანიები, სასტუმრო და სამშენებლო ინდუსტრიის კომპანიები, ღვინის მწარმოებლები და ტექნოლოგიებისა და ენერჯეტიკის კომპანიები.

ბევრი კომპანიისთვის კონკურსი „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“ იქცა ერთგვარ კატალიზატორად ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების პრაქტიკაში და

ჩამოყალიბებისთვის. 2019 წლიდან კონკურსის პარტნიორია ბიზნეს ლიდერთა ფედერაცია „ქალები მომავლისთვის“.

2016 წლის გამარჯვებული კომპანიები - BP საქართველო, ქართული ღვინო, თიბისი ბანკი, ლივინგსტონი

2017 წლის გამარჯვებული კომპანიები -ჯეოსელი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, დიო

2018 წლის გამარჯვებული კომპანიები - ჯი-პი- აი ჰოლდინგი, აჭარა ჯგუფი, პროფესიული მომზადების ცენტრი

2019 წლის გამარჯვებული კომპანიები - ენერგო პრო ჯორჯია, ჯეპრა, ლიდერი

მიუხედავად იმისა, რომ ქალები და გოგონები საქართველოს სამუშაო ძალის ნახევარს წარმოადგენენ, ისინი კვლავ დგანან ბარიერების წინაშე განათლებისა და დასაქმების კუთხით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ კარიერულ წინსვლას. „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“ მსგავსი კონკურსები ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას და ქალების შესაძლებლობების აღიარებას.



ბიზნესი გენდერული  
თანასწორობისთვის